სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/242

ქ. თბილისი 23 სექტემბერი 2019

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატების მსურველთა რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატების მსურველთა რეგისტრაცია „სამართლის" და „ფილოლოგიის" საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოებისათვის გაგრძელდეს 18 ოქტომბრის ჩათვლით;
2. „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის", „არქიტექტურის" და „აგრარული მეცნიერებების" საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების რეგისტრაცია გაგრძელდეს 1 ოქტომბრის ჩათვლით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**